




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება

ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება, მრეწველობის დარგი, რომელიც მოიცავს ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილებას, აგრეთვე წყლის დაგროვებას, განმენდას და განაწილებას. იგი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მრეწველობის სამი შემადგენელი ქვედანაყოფისა – C+D+E, სადაც C – სამთომომპოვებელი მრეწველობაა, D – დამმუშავებელი მრეწველობა, E – ელექტროენერჯის, გაზის და წყლის წარმოება და განაწილება. მისი წილი მთლიანად საქართველოში შეადგენს საწარმოთა რაოდენობის 1,7%-ს, წარმოებული პროდუქციის ღირებულების – 18,0%-ს, დასაქმებულთა რიცხოვნობის – 21,2%-ს და ძირითადი კაპიტალის – 57,3%-ს (2010 წ.). საქართველოს ე., გ. და წ. ნ. და გ-ის შიდა დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანია ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება და განაწილება. მასზე მოდის აღნიშნული პროდუქციის წარმოება-განაწილების 71,1% და ძირითადი კაპიტალის – 81,1%. 2003–10 წლებში დარგის პროდუქცია მოქმედ ფასებში გაიზარდა 84,3%-ით, მ. შ. ელექტროენერჯის, გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება-განაწილება – 66,0%-ით, წყლის დაგროვება, განმენდა და განაწილება – 4,2-ჯერ (იხ. ცხრ., მლნ. ლარი): ე., გ. და წ. ნ. და გ. მიეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიის დარგებს და არეგულირებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ).



დ. ჩომახიძე
